



მოკლედ კორუფციის შესახებ

ალექსანდრე კუხიანიძე

რა არის კორუფცია?

ცხოვრებაში ადამიანების არაკეთილსინდისიერ ქცევასთან დაკავშირებით არაერთხელ გვსმენია სიტყვა „კორუფცია“, რომელიც მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან corruptio, რაც ნიშნავს გაფუჭებას, დამახინჯებას, გარყვნილებას. კორუფციაში იგულისხმება სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული ან ეთიკის კოდექსის დარღვევა. აგრეთვე, თანამდებობის პირთა (სახელმწიფო მოხელეთა, მაღალჩინოსანთა ან პოლიტიკოსთა) სამუშაო ადგილზე უღირსი ქცევა.

კორუფცია არის სიტყვა (მეცნიერულად რომ ვთქვათ – ტერმინი), რომელსაც სახელმწიფო მოხელეები ან პოლიტიკოსები გამოიყენებენ, როცა განსაზღვრავენ პირადი გამოჩენის მიზნით თანამდებობრივი მდგომარეობის ან სახელმწიფო ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას.

კორუფციას მიეკუთვნება სისხლის სამართლის დანაშაულის ისეთი ფორმები, როგორცაა: მექრთამეობა, სხვისი ქონების მიტაცება, თაღლითობა, გამომძალველობა ან ფულის გათეთრება.

მექრთამეობა წარმოადგენს სახელმწიფო მოხელის ან პოლიტიკოსის მხრიდან ფულის ან რაღაც საჩუქრის უკანონო მიღებას, ან კერძო პირის მხრიდან ამის შეთავაზებას, თანამდებობის პირის მიერ განუღი დახმარების სანაცვლოდ. ეს დახმარება შეიძლება იყოს მატერიალური, მაგალითად, მიწის ნაკვეთის საბაზრო ფასზე უფრო იაფად გადაცემა, ან არამატერიალური, მაგალითად, საიდუმლო ინფორმაციის გადაცემა. მექრთამეობა შეიძლება ინიცირებული იყოს, როგორც ქრთამის ამღების (თანამდებობის პირის), ისე ქრთამის მიმცემის (კერძო პირის ან ორგანიზაციის) მიერ.

ქონების მიტაცება არის თანამდებობის პირის მიერ ფულის, ქონების ან სხვა ღირებული ნივთების უკანონოდ მითვისება. ყველაზე ხშირად ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის მიტაცება მოლაპარაკება-შეთქმულების საფუძველზე, სახელმწიფო მოხელესა და კერძო პირს ან კომპანიას შორის.

თაღლითობა წარმოადგენს თანამდებობის პირის მიერ სახელმწიფოს ან კერძო პირის შეგნებულად შეცდომაში შეყვანას, ქონების მითვისების მიზნით. მაგალითად, მოხელე მიზანმიმართულად აკოტრებს სახელმწიფო საწარმოს, რათა შემდგომში მასთან დაახლოებულ პირს საბაზრო ღირებულებაზე უფრო დაბალ ფასად მიჰყიდოს. მეორე მაგალითი, როდესაც ხელოვნურად გაზრდილ ფასად სახელმწიფო ყიდულობს კერძო კომპანიისგან საქონელს და ამ კომპანიისგან სახელმწიფო მოხელე ქრთამის სახით იღებს უკანონო წილს.



გამომძალველობა კორუფციის ფორმაა, როცა სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლები მუქარით, დაშინებით ან ძალის გამოყენებით აიძულებენ პირს, გადასცეს მათ თავისი ქონება, ინფორმაცია ან გაუწიოს გარკვეული სამსახური. გამომძალველობის ინსტრუმენტი პოლიტიკოსებისა და მოხელეების მიერ ადმინისტრაციული რესურსების (პოლიციის, პროკურატურის, სასამართლოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების) გამოყენება იმ მიზნით, რომ აიძულონ მესაკუთრეები, გააჩუქონ თავიანთი უძრავ-მოძრავი ქონება ან ბიზნესი.



ფულის გათეთრება – ეს არის დიდი რაოდენობით უკანონოდ მიღებული შავი ფულის ლეგალიზაცია, ანუ დაკანონება. მაგალითად, სახელმწიფო მოხელეს, რომელმაც დიდი და მრავალი კორუფციული გარიგების გზით მილიონები დააგროვა, ეშინია ამ თანხის გამოჩენის, ვინაიდან ვერ ასაბუთებს მის წარმოშობას. პოლიციის, პროკურატურის, სასამართლოსა და ციხის შიშით ცდილობს ნათესავების, მეგობრების ან კორუმპირებული ბიზნესმენებისა და იურისტების მეშვეობით გადამალოს უკანონოდ მითვისებული თანხა საზღვარგარეთის ბანკებსა და ბიზნესში ან ჩადოს ადგილობრივ ბიზნესში და ამით გაათეთროს შავი ფული. ყველა ასეთი ქმედება წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს და ისჯება თავისუფლების აღკვეთით და დიდი ჯარიმით.



საზოგადოება

ნეპოტიზმი არის კორუფციის ერთ-ერთი ფორმა – ოჯახის წევრების ან მეგობრების სასარგებლოდ ძალაუფლების უსამართლო გამოყენება და სამუშაოს ან სხვა სარგებლის დაუმსახურებლად მიღება. მიუხედავად იმისა, რომ ნეპოტიზმი კორუფციის ერთ-ერთი ფორმაა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით არ ისჯება, მაგრამ ისჯება, როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ანუ თუ თანამდებობის პირმა სხვა ადამიანების ხარჯზე სამსახურში მოაწყო საკუთარი ოჯახის წევრი, ნათესავი ან მეგობარი, ასეთი საქციელი სამსახურებრივი დისციპლინის სერიოზული დარღვევაა და ისჯება სახელმწიფო მოხელის სამსახურიდან განთავისუფლებით ან სხვა დისციპლინარული სასჯელით. ნეპოტიზმი მიუღებელია, რადგან სახელმწიფო ორგანოებში ამკვიდრებს არაპროფესიონალიზმს, საზოგადოებაში კი – უსამართლობისა და უპერსპექტივობის გრძნობას, განსაკუთრებით, ახალგაზრდებში.



რა არის კორუფციის მთავარი მიზეზები?

1 კორუფციის მიზეზებს შორის პირველ ადგილზე დგას პოლიტიკური გარემო. თუ ქვეყნის პირველ პირებს – პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს და მათთან ერთ გუნდში მოღვაწე პოლიტიკოსებს აქვთ სურვილი და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ნება, მაშინ ქვეყანაში იწყება ანტიკორუფციული რეფორმები და მთელი სახელმწიფო მანქანა მუშაობს კორუფციის წინააღმდეგ. მაგრამ თუ ასეთი პოლიტიკური ნება არ არსებობს, მაშინ საზოგადოების ანტიკორუფციულ ინიციატივებს სახელმწიფო ხელს უშლის. ასეთ შემთხვევაში ერთადერთი ანტიკორუფციული გამოსავალი არის მთავრობის შეცვლა არჩევნების გზით. თუ ქვეყანაში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკური ნება არ არსებობს, მაშინ იზრდება პოლიტიკური კორუფცია, რომელიც არის პოლიტიკოსების მიერ ადმინისტრაციული რესურსების უკანონო და უზნეო გამოყენება გამდიდრებისა და სახელმწიფო ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით.



2 კორუფციის მეორე მიზეზი – სახელმწიფო მოხელეების დაბალი პროფესიული ეთიკა და მორალი, მაგრამ თუ ქვეყანაში არსებობს პოლიტიკური ნება, მაშინ სახელმწიფოს სათავეში არსებული რეფორმატორთა გუნდი, სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად, საკმაოდ სწრაფად და ეფექტურად გაუმკლავდება კორუმპირებული მოხელეების მახინჯ ეთიკასა და მორალს, ანუ ადმინისტრაციულ კორუფციას, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო მოხელეთა დანაშაულს პირადი გამორჩენის მიზნით.



3 კორუფციის მესამე მიზეზი – მავნე ჩვევები და ტრადიციები. საზოგადოება, რომელშიც მოხელეები მიჩვეული არიან ქრთამით, ქონების მიტაცებით ან თაღლითობით ცხოვრებას, ხალხს კი ამის წინააღმდეგ ბრძოლის უნარ-ჩვევები და ცოდნა არ გააჩნია, კორუფცია ადამიანების ცნობიერებასა და ქცევაში მავნე ჩვევებისა და ტრადიციების სახით მკვიდრდება.

4 ღარიბ საზოგადოებაში კორუფციის ერთ-ერთი მიზეზი ეკონომიკური გარემოა. თუ სახელმწიფო მოხელეს აქვს დაბალი ხელფასი, უჭირს ოჯახის შენახვა, ამ დროს კი ვიღაც კერძო პირი შესთავაზებს ქრთამს, იმის ალბათობა, რომ მათ შორის გარიგება შედგება, დიდია. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს იძულებით, ეკონომიკური სიდუხჭირით გამოწვეულ წვრილმან კორუფციასთან.

5 თუ კორუფციული ბიზნესგარიგებები მაღალჩინოსნების და პოლიტიკოსების დონეზე ხდება, მაშინ მდგომარეობა განსაკუთრებით საშიშია, რადგან თანამდებობის პირები აკონტროლებენ მრავალმილიარდიან სახელმწიფო ბიუჯეტს და ადმინისტრაციულ რესურსებს (ანუ პოლიციას, პროკურატურას, სასამართლოებს, ციხეებს, არმიას და რაიონების ადმინისტრაციებს). ასეთი კორუმპირებული კლანები ცდილობენ ხელში ჩაიგდონ სახელმწიფო და მართონ საზოგადოება მაფიის სტილში, ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების გამოყენებით. ამიტომ მსხვილი კორუფცია განსაკუთრებით საშიფათოა საზოგადოებისათვის.

რატომ არის კორუფცია საშიში საზოგადოებისათვის?

ქვეყნის ყველა მოქალაქე და ორგანიზაცია იხდის სახელმწიფოს მიერ დადგენილ გადასახადებს, რითაც ივსება სახელმწიფო ბიუჯეტი. ამ ბიუჯეტიდან სახელმწიფო უხდის ხელფასებს საჯარო სკოლების მასწავლებლებს, პოლიციელებს, სამხედროებს ან მესაზღვრეებს. აგრეთვე ახორციელებს გზების და სამთავრობო შენობების მშენებლობასა და რემონტს, სამხედრო და სამოქალაქო საჭიროებებისათვის ყიდულობს ტექნიკასა და აღჭურვილობას. ამრიგად, სახელმწიფო ბიუჯეტი არის ხალხის ბიუჯეტი. ხალხი ირჩევს პარლამენტს, პრეზიდენტს და ადგილობრივ მთავრობას იმ იმედით, რომ არჩეული პოლიტიკოსები და მოხელეები ბიუჯეტს დახარჯავენ გონივრულად და ხალხის ინტერესების გათვალისწინებით. თუ ქვეყანაში ტარდება თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები და მმართველი პარტია ხალხზე ზრუნავს, მაშინ ქვეყანაში მყარდება დემოკრატიული წესრიგი და სახელმწიფო ბიუჯეტი ეფექტურად იხარჯება. მაგრამ თუ მმართველ პარტიას არ აქვს სურვილი (პოლიტიკური ნება) დაამყაროს ასეთი წესრიგი, მაშინ ყოველთვის გამოჩნდებიან სახელმწიფო მოხელეები და პოლიტიკოსები, რომლებიც დაიწყებენ სახელმწიფო ბიუჯეტის განკარგვას უკანონოდ გამდიდრების სურვილით.




საზოგადოება

სახელმწიფო ბიუჯეტის გაფლანგვა ნიშნავს დაბალ ხელფასებს, დანაშაულის ზრდას, უხარისხო განათლებასა და მკურნალობას, სიკვდილიანობის მაღალ მაჩვენებელს, გაურემონტებელ სკოლებსა და გზებს ქვეყანაში. ეს ყველაფერი ერთად ზიანს აყენებს არა მხოლოდ კორუფციით დაზარალებული ადამიანების უმრავლესობას, არამედ მათაც, ვინც კორუფციისგან სარგებელს იღებს, ვინაიდან კორუმპირებული მოხელეების შვილებიც გადაადგილდებიან იმავე გზებზე და შეიძლება გახდნენ ხულიგნებისა და ბანდიტების თავდასხმის მსხვერპლი.

შვილების, ნათესავებისა და მეგობრების „მოწყობა“ ძალიან საზიანოა სხვა ადამიანებისათვის. ადამიანი წარმატებას თავისით უნდა მიაღწიოს, განათლებითა და საკუთარ თავზე მუშაობით და არა – მოტყუებით და დაუმსახურებლად სხვისი სამუშაო ადგილის მითვისებით.

კორუფცია განსაკუთრებით საშიში ხდება, როდესაც ის საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას. რაც უფრო მეტ ფულს იპარავენ კორუმპირებული მოხელეები და პოლიტიკოსები სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მით უფრო ნაკლები თანხა რჩება სამხედროების ხელფასებისა და სამხედრო მომზადებისათვის, სამხედრო აღჭურვილობის წარმოებისა და შესყიდვისათვის. თუ კორუმპირებულ სამხედრო



მოხელეებს უკანონო გარიგება აქვთ იარაღის გამყიდველებთან და ყიდულობენ იაფ და უხარისხო იარაღს, ხოლო დარჩენილ ფულს უკანონოდ ითვისებენ, მაშინ ასეთმა კორუფციამ შეიძლება გამოიწვიოს ჩვენი ჯარისკაცების დაღუპვა ბრძოლის ველზე, ქვეყანა დამარცხდეს მტერთან ბრძოლაში, ხალხმა კი დაკარგოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება. ასეთ შემთხვევაში პოტენციურ მტერს შეუძლია ადვილად და დაუსჯელად დაბომბოს ჩვენი ქალაქები და სოფლები, მოკლას და აწამოს ჩვენი მოქალაქეები, ხოლო მათი ქონება წაიღოს საკუთარ ქვეყანაში. ასეთი კორუფციის შედეგია ხალხის მონობა და დამპყრობლების ბატონობა, ამიტომ კორუფცია არის სამშობლოს ღალატიც.

ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოება ასევე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად არის დაცული ჩვენი სახელმწიფო საზღვრები. თუ მესაზღვრეებს აქვთ დაბალი ხელფასები, არ არსებობს სასაზღვრო კონტროლის თანამედროვე აღჭურვილობა და სასაზღვრო პუნქტებზე მძვინვარებს კორუფცია, მაშინ ქვეყანაში იოლი იქნება ჯაშუშების, ტერორისტების, კონტრაბანდისტების, კრიმინალების შეღწევა და ჩვენი ხალხის წინააღმდეგ მათი მოქმედება. სწორედ ამიტომ არის კორუფცია დანაშაულისა და ამორალური ქცევის ერთ-ერთი ყველაზე საშიში სახეობა.

სახელმწიფო ბიუჯეტის ქურდები არა მხოლოდ დამნაშავეები არიან, არამედ მშობრებიც, რადგან ისინი ცხოვრობენ გამოაშკარავებისა და სამართლიანი დასჯის შიშით. ასეთი ადამიანები არ არიან თავისუფალნი, ისინი მატყუარები და ცინიკოსები ხდებიან.

დაბოლოს, ცივილიზებულ საზოგადოებაში ბევრი პატიოსანი მილიონერი და მილიარდერი ცხოვრობს. მათთვის ფუფუნებისკენ სწრაფვა, მაგალითად, ოქროს უნიტაზის დადგმა და ამგვარი მისწრაფებები სირცხვილად ითვლება და კორუფციის გარკვეულ ფორმადაა მიჩნეული, რადგან ფიქრობენ, რომ სამყაროში, სადაც ამდენი მილიონი ბავშვი იტანჯება შიმშილით და დაავადებებით, ფუფუნება და გულგრილობა ადამიანთა ტანჯვის მიმართ უპატივებელი საქციელია. სკანდინავიის ქვეყნებში, სადაც დემოკრატიის დონე მაღალია, ხოლო კორუფციის დონე – დაბალი, იშვიათად ნახავთ ფუფუნებისკენ მიდრეკილ ადამიანებს და იქ მდიდრები, ოქროს უნიტაზებით სახლების მორთვის ნაცვლად, ქმნიან მრავალმილიონიან საქველმოქმედო ფონდებს გაჭირვებულთა დასახმარებლად, საკუთარი და უცხო ქვეყნების განსავითარებლად. ცივილიზებულ საზოგადოებაში ქველმოქმედება ყოველთვის დგას სიმდიდრის გვერდით.

ამრიგად, კორუფცია არ არის მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის გაფლანგვა და საფრთხე ეროვნული უსაფრთხოებისათვის, ის ასევე სამარცხვინო, ვულგარული და მახინჯი მოვლენაც არის! მთლიანობაში, კორუფცია საზოგადოების დემორალიზაციას და პატივის აყრას ნიშნავს!



როგორია განსხვავება ქვეყნებს შორის კორუფციის დონის მიხედვით?

ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ (Transparency International) ყოველწლიურად ადგენს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კორუფციის აღქმის დონეს (ინდექსს). ამ ინდექსის მიხედვით, რომელიც 0-დან 100 ქულამდე მერყეობს, რაც უფრო ნაკლებია ქვეყანაში კორუფციის დონე, მით უფრო მეტ ქულას იმსახურებს ეს ქვეყანა. მაგალითად, ყველაზე ნაკლები კორუფციის დონის მქონე ქვეყნებმა, ახალმა ზელანდიამ და დანიამ, 2020 წელს 100-დან 88 ქულა დააგროვეს, ხოლო კორუფციის ყველაზე მაღალი დონის ქვეყნებმა – სამხრეთ სომალიმ და სუდანმა მხოლოდ 12 ქულა და არიან ქვეყნების სიის ბოლოში, 179-ე ადგილზე. ეს ინდექსი მიუთითებს, რომ მსოფლიოს არცერთ ქვეყანას არ აქვს მოპოვებული 100 ქულა და მეტ-ნაკლებად კორუფცია არსებობს ყველა ქვეყანაში. შესაბამისად, ყველა ქვეყნის წინაშე დგას კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანა. თუ გადავხედავთ ქვეყნების მთლიან სიას, ვნახავთ, რომ კორუფციის დონე განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებში დაბალია, ხოლო ჩამორჩენილ დიქტატორულ ქვეყნებში – მაღალი.

როგორ გამოიყურება ამ ფონზე საქართველო?

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიხედვით, საქართველოში კორუფციის დონე ყველაზე მაღალი იყო 1990-იან წლებში და პიკს მიაღწია 2004 წელს, როდესაც 100-დან მხოლოდ 20 ქულა აიღო და მსოფლიოში 133-ე ადგილი მიუჩინეს. მაგრამ შემდგომში გატარებული ანტიკორუფციული რეფორმების შედე-

გად, ჩვენი ქვეყნის რეიტინგი გაუმჯობესდა და 2012 წელს საქართველომ უკვე 52 ქულა და მსოფლიოში 51-ე ადგილი მოიპოვა, ხოლო 2020 წელს - 56 ქულა და 45-ე ადგილი. 2020 წლის რეიტინგის მიხედვით, საქართველოში კორუფციის დონე უფრო დაბალია, ვიდრე ევროკავშირის მთელ რიგ ქვეყნებში: ჩეხეთში, მალტაში, იტალიაში, საბერძნეთში, სლოვაკეთში, ხორვატიაში, რუმინეთში, უნგრეთში და ბულგარეთში.

როგორ უნდა ვაპროტო კორუფციას?

1. თუ დემოკრატიულ ქვეყნებში კორუფციის დონე უფრო დაბალია, მაშინ კორუფციასთან ბრძოლის პირველი პირობა ქვეყანაში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებაა. თუ ამომრჩეველი ერთი ტომარა კარტოფილის, ხახვის ან ფქვილის სანაცვლოდ პოლიტიკურ პარტიას ხმას მიჰყიდის, მაშინ ნუ გაგიკვირდებათ, თუ ეს პარტია არჩევნებს მოიგებს და მისი ლიდერები ძალაუფლებას საკუთარი კორუფციული ინტერესებისათვის გამოიყენებენ. ამ შემთხვევაში ამბობენ: „როგორიც ხალხია, ისეთია მთავრობაც“.

თუ ამომრჩეველი არ გაიყიდება და არჩევნებს ღირსეული პარტია მოიგებს, მაშინ იმის ალბათობა, რომ ის ხალხის ინტერესებს დაიცავს, პოლიტიკურ ნებას გამოიჩინებს და ანტიკორუფციულ რეფორმებს განახორციელებს, მეტი იქნება.

2. დამოუკიდებელი მასმედია და არასამთავრობო ორგანიზაციები თვალს უნდა ადევნებდნენ იმას, თუ როგორ იქცევა არჩეული მთავრობა – ასრულებს საარჩევნო დანაპირებს და ებრძვის კორუფციას თუ არა! ამ შემთხვევაში პოლიტიკოსები და მაღალჩინოსნები სამოქალაქო კონტროლის ქვეშ არიან და მეტი ალბათობაა, რომ საარჩევნო დაპირებებს შეასრულებენ.

3. მხოლოდ წინა ორი პირობის შემთხვევაში ქვეყანაში იქნება მთავრობის პოლიტიკური ნება – განახორციელოს ანტიკორუფციული რეფორმები. ასეთი რეფორმები არ უნდა იყოს რეპრესიული ხასიათის. სახელმწიფო ბიუჯეტის მსხვილ ქურდებს სახელმწიფომ ფული უნდა დააბრუნებინოს, სასამართლომ კი – მათ სასჯელი შეუმსუბუქოს. სახელმწიფო მოხელეს, კონტროლთან ერთად, საკმარისი ხელფასიც უნდა ჰქონდეს, რომ იძულებით კორუფციაში არ ჩაება.

4. კორუფციის დონე მხოლოდ ღირსეული ხელფასებით არ შემცირდება, თუ ცხოვრებაში არ გატარდა სხვა ანტიკორუფციული ღონისძიებებიც, კერძოდ, ანტიკორუფციული კანონების და სამოხელეო ქცევის წესების მიღება. ამ საქმეში ქვეყნებს ეხმარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „კორუფციის წინააღმდეგ“, რომელსაც საქართველო 2008 წლის 10 ოქტომბერს შეუერთდა და რომლის შესრულებას.





ბაც სავალდებულოა. საქართველოში სისხლის სამართლის კოდექსის გარდა, განსაკუთრებულ როლს ასრულებს საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“.

5. ამ კანონის 121-ე მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, საქართველოში შეიქმნა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (შემოკლებით – ანტიკორუფციული საბჭო). ამ საბჭოს შემადგენლობაში შედიან სახელმწიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები. 2004 წლიდან დაწყებულმა ანტიკორუფციულმა რეფორმებმა და ანტიკორუფციული საბჭოს საქმიანობამ ხელი შეუწყო სახელმწიფო დაწესებულებებში კორუფციის შედარებით დაბალი დონის შენარჩუნებას. ყოველდღიურ ცხოვრებაში საქართველოს მოქალაქეებს წვრილმანი კორუფცია თითქმის არ აწუხებთ, თუმცა, „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიხედვით, მსხვილი კორუფცია, რომელიც მაღალჩინოსნებისა და დიდი ბიზნესის წარმომადგენლების ურთიერთობებში მაღალი ალბათობით არის, რიგითი მოქალაქეებისათვის უხილავია. სწორედ აქ განსაკუთრებულ როლს ასრულებს დამოუკიდებელი მედიის საგამოძიებო ჟურნალისტიკა, არასამთავრობო ორგანიზაციები და სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) აპარატი.

6. კორუფციის წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლისათვის შესაბამის ორგანოებს უნდა ჰქონდეთ თანამედროვე აღჭურვილობა, ხოლო თანამშრომლებს – კარგად მოწყობილი სამუშაო ადგილები და შენობები. ამავე დროს, სახელმწიფო აპარატი მცირე და ეფექტური უნდა იყოს, ვინაიდან რაც უფრო გაზრდილია ამ აპარატის სახელმწიფო მოხელეების რაოდენობა, მით უფრო დაბალია მათი ხელფასები და მაღალია კორუფციული გარიგებების ალბათობა.

7. დაბოლოს, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში ყველაფერი მაინც დამოკიდებულია ადამიანებზე. თუ სახელმწიფოს კორუფციული ჩვევებისა და ტრადიციების მქონე პოლიტიკოსები და მოხელეები მართავენ და არაპროფესიონალი სახელმწიფო მოხელეები ნეპოტიზმის გამო ვერ ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს, მაშინ ვერც ყველაზე კარგი კანონები და ვერც მაღალი ხელფასები კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატებას ვერ მოგვითვანს. პროფესიონალების სწორი შერჩევა კორუფციაზე გამარჯვების გარანტიაა. ამიტომ პროფესიონალურ ანტიკორუფციულ განათლებას მაგნე ჩვევებისა და ტრადიციების დაძლევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ამრიგად, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა კომპლექსური უნდა იყოს და შეიცავდეს შემდეგ კომპონენტებს: პოლიტიკური ნება; ანტიკორუფციული კანონმდებლობა და წესები, ანტიკორუფციული ორგანოები (ანუ ინსტიტუტები); ლოგისტიკა (ანუ აღჭურვილობა და სამუშაო პირობები); მაღალი დონის პროფესიონალიზმი; ღირსეული ხელფასები და ანტიკორუფციული განათლება.